პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) წინგრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 17 თებერვალი, 1952 წ. № 41 (9201). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მეცხოველეობის მუშაკთა ლირსებისა და სახელის სპეციალ — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ვ. ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავის აღმნიშვნელ საკავშირო კომიტეტში (1-ლი გვერდი).
რუსთავის მეფოლადეები ახალი ამოცანების წინაშე (მე-2 გვერდი).
ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოები (მე-2 გვერდი).
მგზნებარე პროლეტარული რევოლუციონერი (მე-2 გვერდი).
გაბედულად დავაწინაურთ ქალები ხელმძღვანელ სამუშაოზე (მე-2 გვერდი).
აღგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
გორელ მშენებლებთან შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს ადა-ჭარბებით ასრულებენ (მე-3 გვერდი).
კოლოკინკავშირის [illegible] თავს იქებს... (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეცხოველეობის მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმე

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ამთავითვე უნდა ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი. ძალე მასობრივად გაჩაღდება ყველაზე პასუხსაგები საქმე მეცხოველეობაში — ნამატის მიღება. ცხოველის სანიმუშოდ გამოზამთრება, სახელმწიფო გეგმის შესრულება პირუტყვის მომრავლების გზით, მიღებული ნამატის მთლიანად შენარჩუნება და გაზრდა — ასეთია საქართველოს მეცხოველეობის მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმე.

ამისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრას, ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეეხვდეთ ახალი ნამატის მიღებას, გასული წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, მთელი რეზერვების გამოყენებით, ზოოვეტერინარული მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველვყოთ მეცხოველეობის პროდუქტების შემდგომი ზრდა. წელს თავიდან უნდა იქნას აცილებული ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც შარშან ზოგიერთ რაიონში ჰქონდა ადგილი. ახალციხის, ასპინძის, თიანეთის, ქუთაისის, ცხინვალის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დოლს მოუმზადებელი შეხვდნენ და ბატკნებისა და თოკნების შენარჩუნება არადამაკმაყოფილებელი იყო. საოლქო და რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ეს გაკვეთილი, გააძლიერონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მეცხოველეობის დარგში დასახულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ცხვარი წელს იზამთრებს ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანისა და რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის საზამთრო საძოვრებზე, ხოლო მსხვილფეხა რქიანი საქონლის ერთი ნაწილი—კოლხიდის დაბლობის საძოვრებზე. გაწეულია სერიოზული მუშაობა საზამთრო საძოვრების გასაუმჯობესებლად, სადგომების კეთილმოსაწყობად; დამზადებულია გაცილებით მეტი საკვები, ვიდრე წინა წელს. მრავალი კოლმეურნეობა და მეცხოველეობის ფერმა კარგად ემზადება ნამატის მიღებისათვის. სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმას 8.000 სული ცხვარი ჰყავს. ცხვრისათვის მოწყობილი აქვთ კარგი სადგომები, ფერმა შევსებულია გამოცდილი მწყემსებით, რომელთაც ცხვარი მსუქნად ჰყავთ, დაავადების თავიდან ასაცილებლად განახორციელეს მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებანი, ფარეხებში, საბატკნეებსა და სამშობიარო განყოფილებებში შემოღებული აქვთ მეცხვარეების ღამით მორიგეობა ნორმალური ტემპერატურის დასაცავად და დედაპირუტყვისათვის სათანადო დახმარების გასაწევად. ასეთი მაგალითი ბევრია.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. წითელწყაროს, თელავისა და თეთრი წყაროს რაიონების ცალკეულმა კოლმეურნეობებმა გააჭიანურეს სადგომების მშენებლობა საზამთრო საძოვრებზე, მეცხვარეობის ბრიგადები საკმაო კადრებით არ არის დაკომპლექტებული თიანეთისა და ახმეტის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საზამთრო საძოვრებზე ყველა კოლმეურნეობას, ფერმას უნდა შეუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები მოზარდის მთლიანად გამოზრდისათვის, რაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საფუძველია. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოებმა აღმასკომებმა უნდა განიხილონ ნამატის მიღებისათვის მზადყოფნის მდგომარეობა, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მოზარდის შენარჩუნებისა და გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სუფთა, თბილი, ნათელი სადგომების მოწყობა. ამიტომ დედაპირუტყვისა და მოზარდის საუკეთესო ბინებით უზრუნველყოფა მეცხოველეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა.

როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში, ისე აქაც წარმატებას კადრები წყვეტენ. აუცილებელია მეცხვარეობის ბრიგადების სრულად დაკომპლექტება მცოდნე, გამოცდილი და საქმის ერთგული კოლმეურნეებით. ახალგაზრდა მუშაკებისათვის უნდა მოეწყოს მოკლევადიანი სემინარი.

მაღალპროდუქტიული ცხოველის აღზრდის გადამწყვეტი პირობაა კარგი მოვლა-პატრონობა, წესიერი კვება. ეს იმას ნიშნავს, რომ საზამთრო საძოვრებზე და ბაგური შენახვისას ბკვეთრად გაუმჯობესდეს დედაპირუტყვისა და მოზარდის მოვლა და კვება, დაცულ იქნას კვების ნორმები და რაციონის მრავალფეროვნება.

ცხოველის მოვლის საქმეს წყვეტს მწყემსების, მეხბორეების, მეღორეების ბეჯითი მუშაობა. სოფლად გამოზარდა მეცხოველეთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც საუკეთესოდ დაეუფლნენ თავიანთ საქმეს. დუშეთელი მწყემსები თ. წიკლაური, ს. აფციაური, ნ. ჩოხელი, მეხბორე მ. სეთურიძე, ახმეტელი მწყემსები—ა. ითიურიძე, გ. ქაადე, ახალციხელი მეხბორე ს. სუდაძე, ზოოტექნიკური მეცნიერების უახლეს მიღწევათა გამოყენებით, ენერგიული მუშაობით ყოველწლიურად მთლიანად იხარჩენენ ნამატს. მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევების, მეცხოველეობის აღმავლობისათვის მებრძოლთა მდიდარი გამოცდილების, მათი მუშაობის მეთოდებისა და ხერხების პრაპაგანდა და საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ გავრცელება პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სოფლად ახლა დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის აღსანიშნავად. ამ შეჯიბრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეცხოველეობის მუშაკები, რომლებიც ახალ ვალდებულებებს კისრულობენ ჯანსაღი ნამატის მიღებისა და გაზრდის დარგში, მეცხოველეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მეცხოველეთა ინიციატივას, დაეხმარონ კოლმეურნეობებს, მეცხოველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებს აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებაში, მოაწყონ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სისტემატური შემოწმება, გამოავლინონ მოწინავენი, წაახალისონ ისინი, ხოლო ჩამორჩენილნი გაუთანასწორონ წარჩინებულებს და ამით მიაღწიონ საერთო აღმავლობას. კომუნისტები და კომკავშირელები ამ შეჯიბრების ავანგარდში უნდა იყვნენ.

ახლა სოფლად და საზამთრო საძოვრებზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მიმართული უნდა იქნას იქითკენ, რომ სანიმუშოდ მოემზადონ მეცხოველეები ნამატის მიღებისა და მისი მთლიანად შენარჩუნებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

ჯყის ზოლები თბილისის ოლქის ქალაქების ირგვლივ

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ქალაქების — თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, დუშეთის, ხაშურისა და ახალქალაქის გარშემო გამოიყო მწვანე ნარგავთა ზონები. გადაწყვეტილია ამ ქალაქების ირგვლივ შეუდგნენ ტყის ზოლების გაშენებასა და არსებული ტყეების აღდგენის საშუშაოებს.

ქალაქების ირგვლივ ტყის ზოლების გაშენებას ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უხელმძღვანელონ.

საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

ბორჯომი. (საკ. კორ.). შუშის ქარხნის კოლექტივმა მეოთხე კვარტალში პროდუქციის გამოშვების გეგმა 111,4 პროცენტით შეასრულა, 14,6 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა 600 ტონაზე მეტი საწვავი და 8,8 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მნიშვნელოვანი რაოდენობით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და სახელმწიფოს მისცა 561 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

მოპოვებული წარმატებებისათვის ბორჯომის შუშის ქარხნის კოლექტივს მეცხრედ მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია 75 ათასი მანეთი.

მზადება ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისათვის ქუთაისის ოლქში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ოლქის ქალაქებსა, რაიონებსა და სოფლებში გაცხოველებით მიმდინარეობს მზადება დიდი რუსი კლასიკოსის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

სკოლებსა, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში უკვე შეუდგნენ გოგოლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოების, ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების გამართვას. ოლქის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საიუბილეო საღამოები მოეწყობა საგულდაგულოდ შედგენილი პროგრამებით.

თვით საოლქო ცენტრში — ქუთაისშიც დიდი მზადებაა გაჩაღებული იუბილეს აღსანიშნავად. ამას წინათ საქალაქო კულტურის სახლში დიდი წარმატებით ჩაიარა გოგოლის შემოქმედებისადმი მიძღვნილმა ლიტერატურულმა საღამომ.

ნ. ვ. გოგოლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საკუთარ ნაწარმოებთა შესაქმნელად მუშაობენ ქუთაისელი მწერლები — ა. სინაურიძე, მ. პატარიძე, ა. გურჯიძე, ვ. გვეტაძე, დ. ახობაძე, მ. ასათიანი, დ. კვიცარიძე და სხვები. გოგოლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ თემატიკაზე მუშაობენ აგრეთვე ქუთაისელი მხატვრები და მუსიკოსები, ხოლო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორები და მეცნიერი მუშაკები ამზადებენ მასალებს გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიისათვის.

საგრაქგორო მოგოსარემონგო საწარმოთა მშენებლობა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო რესპუბლიკის ოლქებში შეუდგა დიდ სატრაქტორო მოტოსარემონტო სარაიონთაშორისო სახელოსნოთა მშენებლობას, რაც უმოკლეს დროში უნდა დამთავრდეს.

თვითეული სახელოსნო აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით. სახელოსნოებში გადაწყვეტილია წესად შემოიღონ შესაკეთებლად ჩაბარებული სატრაქტორო მოტორის ნაცვლად უკვე შეკეთებული მოტორის დაუყოვნებლივ გაცემა. ამ სახელოსნოებთან გადაწყვეტილია აგრეთვე ააგონ მუშათა საცხოვრებელი სახლები და საჭირო კომუნალური საწარმოები (აბანო, სასადილო, სამრეცხაო და ა. შ.).

დიღმის ველზე უკვე დამთავრდა ასეთი სარაიონთაშორისო სატრაქტორო მოტორსარემონტო სახელოსნოს მშენებლობა, რაც უმოკლეს ვადაში უნდა ამუშავდეს. ასეთივე სახელოსნოები შენდება აბაშასა და წნორში.

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

ხულო. (საკ. კორ.). შარშან დიდი სამუშაოები შესრულდა ხულოს კეთილმოსაწყობად. ცენტრალურ ადგილას დაიდგა ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მონუმენტი, გამშვენიერებულია ქუჩები, შეკეთდა ელექტროგაყვანილობა, აბანოს შენობა და სხვ.

რაიონულ ცენტრს გასულ წელს რვა ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი შეემატა. დარგულია ათასობით დეკორაციული და ფოთლოვანი მცენარე.

ბუღაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე

დაბრკოლებათა დაძლევის გზით

ინჟინერი ბიძინა აბულაძე და მისი უბნის მშენებელთა კოლექტივი ამაყობენ, რომ ბულაჩაურის წყალსადენის გაყვანისას მათ წილად ხვდათ ახალი გამოცდილებით გაამდიდრონ ჰიდროტექნიკური მშენებლობის პრაქტიკა, წყალსადენთა მშენებლობაში დანერგონ დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლე — დაძაბულად არმირებული რკინაბეტონის მილების გამოყენება. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ მილების გამოყენებას სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასთანავე ეს საქმე დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან, გაუთვალისწინებელ შეფერხებასთან, რაც საერთოდ ტექნიკაში ყოველ ახალ დიდ ნოვატორულ საქმეს ახასიათებს.

ათ დღეზე მეტია უბნის კოლექტივი შეუდგა ამ მილებისაგან დამონტაჟებული მცირეწნევიანი მილსადენის ტექნიკურ გამოცდას ერთ მონაკვეთზე. ამ გამოცდამ მრავალი საყურადღებო გაკვეთილი მისცა მშენებლებს.

როგორ და რა ვითარებაში უნდა ხდებოდეს რკინაბეტონის მილების ჩაწყობა სამილსადენე ტრანშეაში, როდის და როგორ უნდა მოხდეს მილების ერთიმეორესთან გადაბმა, რა ტემპერატურულ პირობებში და რა წესით, როგორ უნდა მოვახდინოთ მილსადენიდან წყლის დანაკარგის ლიკვიდაცია? მრავალი ასეთი საკითხი წამოიჭრა მშენებლების წინაშე, და ყველა ამ საკითხის გადასაჭრელად საჭირო იყო გამოცდილების დაგროვება.

ტრასის ამ მცირე მონაკვეთზე არმირებული რკინაბეტონის მილსადენის გაყვანა მშენებელთა დიდი სკოლა გახდა. აქეთკენ, ამ მონაკვეთისაკენ იყო მიპყრობილი ბულაჩაურელი ინჟინერ-ტექნიკოსების, მუშების, მშენებლობის ხელმძღვანელების, ბეტონის სპეციალისტების, ჰიდროტექნიკოსების ყურადღება. შეუნელებლივ მუშაობდნენ მშენებლები და ახლა ისინი გახარებული არიან მიღებული პირველი შედეგებით.

ცნობილია, რომ ბეტონი შეკუმშვას უფრო ადვილად იტანს, ვიდრე გაჭიმვას. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მილსადენის მონტაჟის დროს. მილსადენის მაღალი საექსპლოატაციო თვისებების უზრუნველსაყოფად კარგია, თუ მილების ერთიმეორესთან მიკავშირება მოხდება ისეთივე ტემპერატურულ პირობებში, რა ტემპერატურისაც არის მილსადენში გასატარებელი წყალი. ამასთან საჭიროა დაუყოვნებლივ ხდებოდეს ტრანშეის ამოვსება, რათა ჰაერის ტემპერატურის ცვლილებამ გავლენა არ მოახდინოს ტრანშეაში ჩაწყობილ მილებზე.

ყოველივე ეს საკუთარი დაადასტურა გამოცდილებამ.

მიღებული გამოცდილებით შეიარაღებული ბულაჩაურელი მშენებლები ახლა წარმატებით განაგრძობენ წინსვლას, რკინაბეტონის მილსადენის საბოლოოდ გამზადებას თბილისისაკენ წყლის გასატარებლად. მათ ეს სამუშაოები რამდენიმე კილომეტრ მანძილზე დარჩათ შესასრულებელი. ისინი უკვე შეუდგნენ მილსადენის მთლიანი საყრდენი „ლეიბის“ დაბეტონებას, სათანადო ადგილებზე მილებისათვის ლითონის სალტეების გაკეთებას. მათ ეს სამუშაო ისე აწყეს, რომ შეიძლება უზრუნველყოფილად მივიჩნიოთ რამდენიმე კვირის შემდეგ წყლის შემდგომი უბნებისაკენ გამვება.

წყალსადენთა მშენებლობაში მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლის — დაძაბული არმირებული რკინაბეტონის მილების დანერგვაში შრომითი თავდადების საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან მკვერავი და მებეტონე მუშები—დავით ბალაშვილი, შალვა ოდიშვილი, შაქრო კენჭუაშვილი, მეკამპრესორე გაბო გზირიშვილი, ლითონის სალტეთა შემდუღებელი ივანე ჩეკმენოვი, ბეტონის ოსტატი ალექსანდრე გველესიანი, ინჟინრები გიორგი მამულაშვილი და ფარნაოზ მათიაშვილი.

დ. ამირანიძე

თბილისი. 80 ბინიანი ახალი საცხოვრებელი სახლი საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთათვის ლენინის ქუჩის ბოლოს. საცხოვრებელი სახლი სანიმუშოდ არის კეთილმოწყობილი.

ფოტო რ. ეკოფოვისა

3. ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავის აღმნიშვნელ საკავშირო კომიტეტში

15 თებერვალს ა. ა. ფადეევის თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავის აღმნიშვნელი საკავშირო კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირში ამ ღირსშესანიშნავი თარიღის მომზადებისა და მოწყობის ღონისძიებათა გეგმა. იუბილე ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგი ხალხის დიდი შვილისა, რომელმაც ყველა ქვეყანაში მილიონობით ადამიანის მხურვალე სიყვარული მოიპოვა, ფართოდ აღინიშნება საბჭოთა კავშირში. 26 თებერვალს, ვ. ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავის დღეს, კავშირთა სახლების სვეტებიან დარბაზში გაიმართება საზეიმო სხდომა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მოეწყობა საიუბილეო საღამოები ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის კულტურის სასახლეში, ჩვენი ქვეყნის უდიდეს ცენტრებში—ლენინგრადში, კიევში, თბილისში, მინსკში, რიგაში, ვილნიუსსა და სხვა ქალაქებში. სკოლებში, მუშათა და სოფლის კლუბებში, დიდ ბიბლიოთეკებში მოეწყობა საუბრები მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

იუბილეს დღეებში ჩვენი ქვეყნის ბევრ თეატრში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, მინსკში, ტალინში, სვერდლოვსკში, სარატოვსა და სხვა ქალაქებში გაიმართება სპექტაკლები ჰიუგოს ნაწარმოებთა სიუჟეტებზე.

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორმა ა. კ. კოტოვმა სხდომას გააცნო ვ. ჰიუგოს თხზულებათა ახალი თექვსმეტტომიანი გამოცემის გამოშვების გეგმა. დიდი ტირაჟით გამოვა მის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული და მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი.

სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში და ი. ბ. სტალინის სახელობის ავტოქარხნის კულტურის სასახლეში აწყობს მწერლისადმი მიძღვნილ ერთი დღის გამოფენებს. (საკადესი).

როგორ აივსება ვოლგა-დონის არხი

დონის კალაჩი. (საკადესი). ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობა ამუშავების პერიოდში შევიდა.

არხსა და მის წყალსაცავებში უნდა გაუშვან 320 მილიონ კუბურ მეტრამდე წყალი. რა წესით მოხდება ავსება?

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის პროექტის მთავარმა ინჟინერმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვ. მიხაილოვმა განაცხადა:

— დონიდან წყალს წყალგამყოფამდე წამოიყვანენ სამი თანმიმდევრობით განლაგებული სატუმბავი სადგურით. ყველაზე ქვედა სადგურმა — კარპოვკის სადგურმა დათქმულ ვადაზე — 1 თებერვალს დაიწყო წყლის ტუმბვა. შემდეგი საფეხურია მარინოვკის სადგური. მას წყალი მიჰყავს კარპოვკის წყალსაცავიდან და აწვდის არხს. შემდეგ წყალი თვითდინებით მიდის ბერესლავის წყალსაცავში და იქიდან გადაიტუმბება მესამე სატუმბავი სადგურით ვარვაროვკის წყალსაცავში, რომელიც ყველაზე მაღალ უბანზეა, ვოლგისა და დონის წყალგამყოფზე.

არხისა და მისი წყალსაცავის თავდაპირველი ავსების პერიოდში კარპოვკის სატუმბავმა სადგურმა უნდა გადატუმბოს 300 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი წყალი, მარინოვკისამ — 200 მილიონ კუბურ მეტრამდე, ვარვაროვკისამ 120 მილიონ კუბურ მეტრამდე.

კარპოვკის სატუმბავი სადგურის მუშაობის რეჟიმი რამდენადმე დამოკიდებულია მდინარე დონის წყლის დონეზე. რაც უფრო მაღალია ეს დონე, მით უფრო მეტია ტუმბოების წარმადობა.

მარინოვკის სადგურის პირველი აგრეგატი ამუშავდება მარტში, როცა კარპოვკის წყალსაცავის ნაწილობრივი ავსება საკმარის სიღრმეს უზრუნველყოფს.

აპრილის პირველ ნახევარში წყლის გადატუმბვას დაიწყებს მესამე და უკანასკნელი სატუმბავი სადგური — ვარვაროვკის სადგური.

ვარვაროვკის წყალსაცავიდან წყალგამყოფი არხით დაიწყება ვოლგის ფერდობის რაბის კიბის თანდათანობითი ავსება წყლით — თანმიმდევრობით № 9 რაბიდან № 1 რაბამდე, რომელიც ზედ ვოლგასთან მდებარეობს.

ვოლგა-დონის მშენებლები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ვადამდე — 1 მაისს შეძლონ უპატაკონ, რომ ყველა ნაგებობა მზად არის საექსპლოატაციოდ.

მინა ლითონის ნაცვლად

ლენინგრადი. (საკადესი). ჩვენი ქვეყნის გამაუხვებელ ფაბრიკებში ერთი აგრეგატიდან მეორეში ქვანახშირისა და მადნის ტრანსპორტირებისათვის ფართოდ იყენებენ დაქანებულ ღარებს. ამ მოწყობილობათა ფსკერისა და გვერდის კედლების ამოგება ხდება ფოლადის ან თუჯის ფურცლებით. ამ საქმეზე ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იხარჯება ლითონი.

ლენინგრადის შახტების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის ინჟინრებმა შეიმუშავეს ღარების დაცვის ახალი, უფრო ეკონომიური წესი. მათ წინადადება შეიტანეს ამოსაგები ლითონი შეიცვალოს გადიდებული მექანიკური სიმტკიცის სპეციალური მინით. მისი ღირებულება ლითონის ღირებულებაზე ოთხჯერ ნაკლებია. სამრეწველო გამოცდამ, რაც ლენინგრადის კოქსგაზის ქარხანაში განხორციელდა, ცხადყო, რომ ამ ახალმა ღონისძიებამ გაადიდა ღარების მდგომობა.

ეს სიახლე დანერგილია დონბასის ქვანახშირის მთელ რიგ გამაუხვებელ ფაბრიკებში. მინის საშუალებით ღარების დაცვის ახალი ხერხის ფართოდ გავრცელება შესაძლებლობას მოგვცემს მხოლოდ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში დავზოგოთ წელიწადში ათასობით ტონა ფურცლოვანი ლითონი.

ამოგების ახალი სახე შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნას აგრეთვე ოქსქიმიურ, მადნისა და ცემენტის ქარხნებში, ქიმიურ მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

ჩამწყობი ავტომატი

ლენინგრადი, 13 თებერვალი. (საკადესი). დღემდე აგურის ქარხნებში საშრობში წასაღებად ვაგონეტში ალიზს ხელით აწყობდნენ. საშენი მასალების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ინჟინრებმა შეიმუშავეს კონსტრუქცია ავტომატისა, რომლითაც ეს პროცესი მთლიანად მექანიზებულია. ავტომატი, რომელსაც ერთი მუშა მართავს, ჭრის ალიზს, აწყობს ჩარჩოებში და ჯგუფ-ჯგუფად ალაგებს ვაგონეტში. თავიდან აცილებულია ჩაწყობის დროს ალიზის დაჭყლეტა და 5-6-ჯერ მცირდება ამ ოპერაციაზე საჭირო მუშახელი.

რუსთავის მეფოლადეები ახალი ამოცანების წინაშე

საბჭოთა მეტალურგებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ წარჩინებული მეფოლადის სიმონ იაკიმენკოს თაოსნობას. მან წინადადება წამოაყენა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება თვითეული დნობის ჩქაროსნული მეთოდით განხორციელებისათვის. ს. იაკიმენკოს შესანიშნავმა ინიციატივამ მხურვალე გამოხმაურება და გავრცელება ჰპოვა რუსთაველ მეტალურგიულ ქარხანაშიც.

მეფოლადე-ნოვატორის მაგალითისამებრ ქარხნის მარტენის საამქროში გაიმართა შეჯიბრება თვითეული დნობის ჩქაროსნული მეთოდით განხორციელებისათვის. ამ შესანიშნავი შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ პირველი ლუმელის მეფოლადეები შ. კუხალეიშვილი, ვ. გიგიბერია და გ. სიგუა. მათ მაგალითს ერთსულოვნად მიბაძეს მეფოლადეთა სხვა ბრიგადებმაც. იანვრის მეორე ნახევრიდან დაწყებული თითქმის ყველა დნობა ჩქაროსნული მეთოდით ხორციელდება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ **ჩქაროსნული მეთოდით განხორციელებული ყველა დნობა ამავე დროს სრულწონიანიც არის.**

მთავარი საამქროს მუშაობაში, ფოლადის ჩქაროსნული მეთოდით დნობაში ის არის, რომ მეფოლადეებმა და მათმა თანაშემწეებმა, ჩამტვირთავი მანქანის მემანქანეებმა, კაზმის ჩამტვირთავებმა და მეარხეებმა იმუშაონ ერთმანეთთან შეწყობილად და მთელი სისწრაფით. საამქროს შეწყობილი მუშაობა პირველ რიგში მიღწეულ იქნა საურნალო საამქროსთან და კაზმის ეზოსთან მჭიდრო კავშირის დამყარებით, რითაც უზრუნველყოფილ კაზმის დროზე და შეუფერხებლად ჩატვირთვა ლუმელებში. ამავე დროს დამხმარე საამქროებმა გააუმჯობესეს სათადარიგო ნაწილების მიწოდება. განმტკიცდა ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინა, რამაც ხელი შეუწყო წუნდებული ფოლადის გამოშვების საგრძნობლად შემცირებას.

ტექნოლოგიური რეჟიმის სრულყოფასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას. მაგალითად, გასული წლის მეოთხე კვარტალში ტექნიკური სწავლების სხვადასხვა წრეში სწავლობდა წამყვანი პროფესიის 250 მეტალურგი. ამათგან სწავლა წარჩინებით დაამთავრა 40 მეფოლადემ და მეფოლადის თანაშემწემ, 75 მეარხემ და ხიდური ამწის 60 მემანქანემ.

ჩვენი საამქროს გამოჩენილი ნოვატორების — ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატის შ. კუხალეიშვილის და ჩამტვირთავი მანქანის მემანქანის რ. ცაბუტაშვილის პატრიოტულ თაოსნობას ფოლადის ჩქაროსნული დნობის განხორციელების დარგში აქტიურად დაუჭირეს მხარი სამეურნეო, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა. ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების მიზნით შექმნილია სტახანოვური სკოლები, რომლებშიც ათობით მეტალურგი ეუფლება შრომის მოწინავე მეთოდებს.

ფოლადის დნობის ტექნოლოგიური რეჟიმის საფუძვლიანად დაუფლებით ჩვენმა მეფოლადეებმა უკანასკნელ ხანს იმას მიაღწიეს, რომ ცივ რემონტთა შორის ლუმელის გამძლეობამ ნაცვლად 135-140 დნობისა 170-175-ს მიაღწია. ამასთანავე ცივ და ცხელ შეკეთებაზე ლუმელის გაჩერების დრო 35 პროცენტით შემცირდა, ხოლო წუნდებული ლითონის გამოშვება 7-8-დან 1 პროცენტამდე ჩამოვიდა. ყველა ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად თვითეული ლუმელის მიერ გამოშვებული ფოლადის რაოდენობა იანვარში 1.000 ტონით გაიზარდა წინა თვეებთან შედარებით.

ფოლადის დნობის მოწინავე მეთოდების გავრცელების საფუძველზე განუხრელად იზრდება ჩქაროსნული დნობის რაოდენობა. 1951 წლის მეოთხე კვარტალში ჩვენი მეფოლადეები ყოველთვიურად ახორციელებდნენ 50 ჩქაროსნულ დნობას, მომდინარე წლის იანვარში კი 95 ჩქაროსნული დნობა იქნა განხორციელებული. ახლა **ჩვენს წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა—ყველა დნობა ჩქაროსნული და სრულწონიანი გავხადოთ.**

ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში მეფოლადეები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. გასული თვის საწარმოო დავალების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის მარტენის საამქროს მიენიჭა საუკეთესო მეტალურგიული საამქროს სატიტო წოდება და გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა. ახალგაზრდა მეტალურგ მ. მაისურაძეს მიეკუთვნა საუკეთესო ოსტატის წოდება, ხოლო მოწინავე მეფოლადეებს შ. კუხალეიშვილს, ზ. კვახაძეს, ი. ლაზარიაშვილს, ვ. გიგიბერიას, გ. სიგუას და სტახანოველ მეარხეს ვ. ფირცხალავას გადაეცათ წითელი ალმები. იანვარში მაღალნაყოფიერი შრომით საუკეთესო ცვლის სახელწოდება მოიპოვა ი. რაზმაძის ცვლამ, ხოლო ბოყვების ეზოს კოლექტივს, რომელსაც გ. კრაკოსოვი ხელმძღვანელობს, მიენიჭა საუკეთესო უბნის წოდება.

თებერვალში მარტენის საამქროს კოლექტივი კიდევ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის იბრძვის. მეფოლადეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მაგნიტოგორსკელ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას და იკისრეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი: გამოადნონ ფოლადი მხოლოდ ჩქაროსნული მეთოდით, თვითეული ლუმელის გამძლეობა აიყვანონ 180 დნობამდე, ხოლო დნობის საშუალო წონა გაზარდონ 190 ტონამდე, შეამცირონ ლუმელების გაცდენა რემონტის პერიოდში და 1952 წელს გეგმის გადამეტებით გამოადნონ ათეულ ათასობით ტონა ფოლადი.

ს. შარაძენიძე

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი

ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოები

დეკემბერ-იანვრის კარგი ამინდები ნაყოფიერად გამოიყენეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. ლემონჯავა). აქ გეგმით გათვალისწინებული იყო ჩაის პლანტაციების მსუბუქი გადაბარვა ფოსფორიანი სასუქის შეტანით 107 ჰექტარზე, რაც დროულად დამთავრდა. შესრულებულია ჩაის პლანტაციების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი 5.000 მეტრზე და სადრენაჟე ქსელის რემონტი 18.000 მეტრზე. გაყვანილია 4.000 მეტრი საერთო სიგრძის ახალი სადრენაჟე ქსელი.

ჩაის საზამთრო სამუშაოთა კარგად შესრულებაში თავი გამოიჩინეს პირველმა, მეექვსე და მეშვიდე ბრიგადებმა, რომელთა ხელმძღვანელებია ბ. ლემონჯავა, ილ. მანჯგალაძე და ა. ლემონჯავა. ბეჯითად შრომობენ 80 წლის კოლმეურნე — მერგოლური კოსტა ჩიქოვანი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ჯოგო ლუკავა, მირიან მანჯგალაძე, კალისტრატე ბერაძე, ვერა ზოგირაძე, აკაკი კვარაცხელია, გრიგოლ ლაშხია და სხვები.

ჩაის პლანტაციების რაოდენობა აქ სულ უფრო და უფრო იზრდება. წელს ჩაი დათესეს 7 ჰექტარზე. ნათესები შემოკავებულია და მათ სათანადო ყურადღებას აქცევენ.

ჩაის საზამთრო სამუშაოების კარგად ჩატარებაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფოთლის მოსავალი, კრეფის სეზონის დროზე დაწყება. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნე დროზე არ ამუშავებს მიჩენილ ნაკვეთს. ასეთებია: დ. თოდუა, ნ. თოლორდავა, ე. ლემონჯავა, ნ. ფირცხელავა და სხვები. კოლმეურნეობის გამგეობამ ეს ნაკლი დროზე უნდა გამოასწოროს.

გ. მილიუტინი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მეცხოველეთა სასახელო შრომა

დუშეთი. (საკ. კორ.). კავკასიის მთებს შორის მდებარეობს სოფელ მლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომლის ეკონომიკის ძირითადი დარგია მეცხოველეობა. მლეთელები ცხვრის მოვლა-პატრონობისა და გამოზრდის ოსტატები არიან. წლითიწლობით ზრდიან პირუტყვის სულადობასა და პროდუქტიულობას, აუმჯობესებენ ჯოგის ჯიშობრივ შემადგენლობას.

სასახელო წარმატებებს მიაღწია კოლმეურნეობამ გასულ წელს. გადაჭარბებით შესრულდა ცხვრის, ძროხის და ცხენის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმები. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულმა ბრიგადამ, რომელსაც ნიკო ბუთხუზი ხელმძღვანელობს, 885 ცხვრის თვითეულ სულზე 2,8 კილოგრამის ნაცვლად 3,9 კილოგრამი მატყლი მიიღო.

ძროხების ნამატის მიღება-შენარჩუნებაში თავი გამოიჩინა სასოფლო საბჭოს დეპუტატმა მაშო სეთურიძემ, რომელმაც 15 ძროხაზე მიიღო და გაზარდა 15 ხბო.

მგზნებარე პროლეტარული რევოლუციონერი

(გ. კ. ორჯონიკიძის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი)

15 წლის წინათ, 1937 წლის 18 თებერვალს, გარდაიცვალა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, მგზნებარე პროლეტარული რევოლუციონერი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.

ს. ორჯონიკიძის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი დიადი პარტიის გმირული ბრძოლისა და გამარჯვებების მდიდარ ისტორიასთან, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებასთან.

ს. ორჯონიკიძე იყო ლენინურ-სტალინური ტიპის ბოლშევიკი, რომელმაც არ იცოდა შიში და დაბრკოლებანი პარტიის მიერ დასახული დიადი მიზნების მიღწევის გზაზე. მისი დამახასიათებელი იყო დაუშრეტელი ენერგია, შეუპოვრობა და პირდაპირობა. „მასების გამოჩენილი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ნიჭი მასში შეხამებული იყო ადამიანებთან ურთიერთობისას იმ გულთბილობისა და ამხანაგური უბრალოების განსაცვიფრებელ თვისებებთან, რომლებიც ასე კარგად არის ცნობილი ყველასათვის... და რომლებითაც განირჩევა ნამდვილი ბოლშევიკი-ლენინელი“.

ს. ორჯონიკიძე ჭაბუკობიდანვე ჩაება აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში. 1901-1902 წლებში იგი თბილისის საფერშლო სკოლის სოციალ-დემოკრატიული წრის თვალსაჩინო და აქტიური მონაწილე იყო, 1903 წელს კი 17 წლის სერგო შედის რსდმ პარტიის რიგებში და უყოყმანოდ დგება ბოლშევიკების მხარეზე. აქედან იწყება ს. ორჯონიკიძის როგორც პროფესიული რევოლუციონერის მრავალფეროვანი და ღრმა შინაარსიანი მუშაობა.

საფერშლო სკოლის დამთავრებისთანავე, 1905 წლის გაზაფხულზე, პარტიული მუშაობის მიზნით ს. ორჯონიკიძე სამუშაოდ გადადის ბათუმში, სადაც მოწინავე მუშებთან ერთად უაღრესად აქტიურ ბრძოლას ეწევა მეფაბრიკე-მექარხნეებისა და მათი აგენტურის — მენშევიკებისა და დაშნაკების წინააღმდეგ.

1905 წლის შემოდგომიდან ს. ორჯონიკიძე სამუშაოდ გადადის გუდაუთაში. უკვე ამ პერიოდში იგი ჩამოყალიბებული პროფესიონალი რევოლუციონერი, ლენინურ-სტალინური იდეებისათვის დაუღალავი და უშიშარი მებრძოლია, რომლისთვისაც ცხოვრების აზრი მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციაშია. გუდაუთაში ყოფნისას იგი დააპატიმრეს მეფის ჯალათებმა.

პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე სერგო თბილისს მიემგზავრება, მჭიდროდ უკავშირდება ამხანაგ სტალინს და მისი ხელმძღვანელობით აწარმოებს აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ჯერ თბილისში, შემდეგ კი ბაქოსა და პეტერბურგში.

1907 წლის მარტში ს. ორჯონიკიძეს ირჩევენ პარტიის ბაქოს კომიტეტში, რომელსაც დიდი სტალინი მეთაურობდა. სერგოსთვის შესანიშნავ პოლიტიკურ სკოლას წარმოადგენდა ბაქოში მუშაობა. აქ, დიდი სტალინის მიერ აღზრდილ და ბოლშევიკურად გამოწრთობილ ბაქოელ მოწინავე რევოლუციურ პროლეტართა ორგანიზაციაში, მან რევოლუციური მუშაობის დიდი გამოცდილება მეიძინა.

ვ. ი. ლენინის მითითებით ს. ორჯონიკიძეს, როგორც პროფესიონალ რევოლუციონერს ირჩევენ სრულიად რუსეთის მეექვსე პარტიული კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარედ. დიდმა ლენინმა მაღალი შეფასება მისცა სერგოს მიერ გაწეულ მუშაობას. ამ კონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამია: „კონფერენცია თავის მოვალეობად თვლის აღნიშნოს უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობისა რუსეთის ყველა პარტიული ორგანიზაციის შემჭიდროებისათვის“.

პრინციპულობა პოლიტიკაში, შეურიგებლობა ლენინურ-სტალინური ხაზიდან ყოველგვარი გადახრისადმი, ულმობელობა პარტიისა და მუშათა კლასის მტრებისადმი—აი დიდი პროლეტარული რევოლუციონერის, მგზნებარე ბოლშევიკის ს. ორჯონიკიძის ყველაზე დამახასიათებელი თვისებანი. იგი მთელი თავისი ძაღლონით ანადგურებდა პროლეტარიატის მტრებს, ბურჟუაზიის საზიზღარ აგენტებს — მენშევიკებს, დაშნაკებს, მუსავატელებს, ესერებსა და ტროცკისტებს.

ს. ორჯონიკიძის რევოლუციური მოღვაწეობა განუყოფელად არის დაკავშირებული ცარიზმისა და ბურჟუაზიული ჩაგვრის წინააღმდეგ მშრომელთა ფართო მასების რევოლუციურ ბრძოლასთან, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლასთან, სამოქალაქო ომის პერიოდში თეთრგვარდიელი კონტრრევოლუციური არმიებისა და უცხოელ დამპყრობთა განადგურებისა და მოსპობის ორგანიზაციასთან, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებასთან. ყველგან, სადაც კი ამბ. ს. ორჯონიკიძეს პარტია გზავნიდა, მისი დაუშრეტელი, მჩქეფარე რევოლუციური ენერგიის მეოხებით წარმატება უზრუნველყოფილი იყო.

ლენინისა და სტალინის მითითებით ს. ორჯონიკიძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიელთა არმიების განადგურებას და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას კავკასიაში.

პარტიის XIV ყრილობაზე ს. ორჯონიკიძეს გამანადგურებელი იერიშები მიაქვს სოციალიზმის დაუძინებელ მტრებზე — ზინოვიევსა და კამენევზე, ულმობლად ააშკარავებს ეგრეთწოდებული „ახალი ოპოზიციის“ კონტრრევოლუციურ ბუნებას.

1926 წლის ნოემბერში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა ს. ორჯონიკიძე აირჩია ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. ამ პოსტზე მყოფმა, მან თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა ორგანიზატორმა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ბიუროკრატებისა და კონტრრევოლუციური ელემენტების განდევნა-განადგურებაში.

კაპიტალიზმის რესტავრატორების — ტროცკისტულ-ბუხარინული ბლოკის განადგურების შემდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1930 წლის 10 ნოემბერს ს. ორჯონიკიძე ინიშნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. აქაც დაუცხრომლად ჩქეფდა სერგოს დაუშრეტელი ენერგია; მის სახელთან დაკავშირებულია სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებანი მრეწველობის დარგში. მისი უშუალო მონაწილეობით ბოლშევიკურმა პარტიამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გადაჭრა ჩვენს ქვეყანაში მძლავრი მოწინავე მძიმე ინდუსტრიის შექმნის უძნელესი ამოცანა. საბჭოთა ინდუსტრიამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და თავდაცვითი მრეწველობის ახალი ტექნიკით შეიარაღება.

მძიმე ინდუსტრიის მუშაკთა მრავალმილიონიანი არმიის სათავეში ყოფნისას ს. ორჯონიკიძე ზედიზედ იღებდა გადამწყვეტი იერიშით უძნელეს, მანამდე აუღებელ ციხე-სიმაგრეებს ახალი საბჭოთა ტექნიკის აშენებისა და დაუფლებისათვის ბრძოლაში; იგი მზრუნველობით და სიყვარულით ზრდიდა მძიმე მრეწველობის ნიჭიერ, კომუნიზმის საქმის ბოლომდე ერთგულ პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკთა მრავალრიცხოვან კადრებს, იგი იყო ჩვენს ქვეყანაში სტახანოვური მოძრაობის განვითარების ხელშემწყობი და ერთ-ერთი ინიციატორი.

სერგო ორჯონიკიძე შედიოდა ბოლშევიკური პარტიის იმ ხელმძღვანელ ბირთვში, რომელიც შეიქმნა ლენინის გარდაცვალების შემდეგ და რომელმაც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დაიცვა ლენინიზმის უძლეველი დროშა და გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის ფართო გზაზე.

პარტიის XI ყრილობიდან დაწყებული ამხანაგი ორჯონიკიძე იყო ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხოლო პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1930 წლის დეკემბრის გაერთიანებულმა პლენუმმა იგი შეიყვანა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

მტკიცე ბოლშევიკი, კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი გ. კ. ორჯონიკიძე იყო პროლეტარული რევოლუციონერის მაგალითი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი.

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის შესანიშნავი ცხოვრება, რომელიც მან მთლიანად ლენინ-სტალინის დიად საქმეს მოახმარა, ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელთა აღმათრთოვანებელი მაგალითია კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

„სერგო ორჯონიკიძის სახე, — აღნიშნავდა ამხ. ვ. მოლოტოვი, — მუდამ იქნება ჩვენს წინ, როგორც კომუნიზმის საქმისათვის სახელოვანი ბოლშევიკური მებრძოლის ცხოვრების ნათელი მაგალითი. მისი ხსოვნა არა მარტო ჩვენთვის, არამედ მომავალი თაობებისათვისაც იქნება მოწოდება თავდადებული ბრძოლისაკენ... კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის“.

ი. ჟვანია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

პარტიულ თემაზე

გაბედულად დავაწინაურეთ ქალები ხელმძღვანელ სამუშაოზე

ქალთა კადრების აღზრდასა და დაწინაურებას დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში. ქალთა პოლიტიკური და კულტურული ზრდისათვის განუწყვეტელი მზრუნველობის შედეგია ის, რომ მრავალი ქალი ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო თანამდებობაზე მუშაობს და შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ საქმეს.

ამ წერილით ჩვენ გვინდა მკითხველებს გავაცნოთ, თუ როგორ მუშაობს თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაცია ქალთა კადრების აღზრდა-დაწინაურებისათვის. პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაწინაურებელთა რეზერვში, რომელიც პარტიის რაიკომთან არის შექმნილი, ნახევარზე მეტი ქალებია. ეს ის ქალები არიან, რომლებმაც კეთილსინდისიერი და უნარიანი მუშაობით თავი გამოიჩინეს თავიანთ სამუშაო უბნებზე. ბევრი ქალი დაწინაურებულია პასუხსაგებ სამუშაოზე. ქალთა აღზრდა-დაწინაურების საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მაგალითი.

ამ რამდენიმე წლის წინათ ქარხანაში სამუშაოდ მოვიდა ახალგაზრდა ინჟინერი ქალი ქეთევან შელია. მან თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. მუშაობა დაიწყო ერთ-ერთი საამქროს მგეგმავ-ნორმადარად. აქ გაიარა საწარმო წრთობა და შემდეგ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მანქანათმშენებელ ქარხნებში მუშაობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ მშობლიურ ქარხანას დაუბრუნდა. უნარიანი ინჟინერი ქალი ქარხნის ტექნიკური განყოფილების ტექნოლოგად, ხოლო უფრო გვიან მთავარ დისპეტჩერად დაწინაურეს. ამჟამად ქეთევან შელია ქარხნის საიარაღო-ექსპერიმენტალურ საამქროს ხელმძღვანელობს. ეს საამქრო მოწინავეა მთელ ქარხანაში. გასული წლის სახელმწიფო დავალება 21 დეკემბრისათვის 104 პროცენტით შეასრულა, ხოლო ახალი სამეურნეო წლიდან ყოველდღიურ გეგმებს 110 პროცენტით ასრულებს. ქეთევან შელია ქარხანაში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს მდივანია. აქტიურად მონაწილეობს ბიუროს მუშაობაში, თვითონაც რამდენიმე ძვირფასი წინადადების ავტორია. მისი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის საგრეხი მანქანის ჭიაბორბლის დამზადების ტექნოლოგია. ამით თვითეულ მანქანაზე მიღწეულია ორი კილოგრამი ფერადი ლითონის ეკონომია.

ქარხანაში ბევრია მოწინავე ქალი. ინჟინრებმა ლუბა ადამიამ და კაკალა სხარულიძემ ლითონის დასაფარავად გამოიყენეს სპეციალური ბაკელიტის ლაქი. ამ ლაქით დაფარული ლითონი მოკალვას აღარ საჭიროებს. ახალგაზრდა ინჟინრების მიერ წარმოებაში დანერგილი ეს სიახლე ქარხანას საშუალებას აძლევს წელიწადში ნახევარი ტონა კალა დაზოგოს.

ქარხანაში ქალთა აღზრდისა და დაწინაურებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება. 7 ქალი დაწინაურებულია ხელმძღვანელ სამუშაოზე. ქალები მუშაობენ ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგებად ამწყობ და მექანიკურ საამქროებში, კადრების განყოფილების გამგედ, ლაბორატორიის გამგედ. ახალგაზრდა ქალების — სპეციალისტების დაწინაურებისათვის ქარხანაში ყოველგვარი პირობებია შექმნილი. ტექმინიმუმის წრეებში საწარმოო კვალიფიკაციას იმაღლებენ წარმოებაში ახლად მოსული მუშაქალები. გარდა ამისა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქარხნის ადმინისტრაციას და პარტბიუროს პრაქტიკაში შემოღებული აქვთ ახალგაზრდა სპეციალისტების მივლინებები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისა და მოკავშირე რესპუბლიკების მანქანათმშენებელ ქარხნებში. ამას წინათ მოსკოვში გამართულ ახალგაზრდა სპეციალისტთა თათბირზე გაგზავნილმა ინჟინერმა ქალებმა ელენე ჩიხლაძემ და თამარ ჩიკაშვილმა დაათვალიერეს დედაქალაქის გიგანტური ქარხნები, მოისმინეს კვალიფიციური სპეციალისტების ლექციები. დაბრუნების შემდეგ ისინი ქარხნის ახალგაზრდა სპეციალისტებს ესაუბრნენ დედაქალაქში მიღებულ თეორიულ ცოდნებსა და საწარმოო გამოცდილებაზე.

ქარხანაში ახალგაზრდა ქალთა დასაწინაურებლად სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც ხორციელდება. რთული საწარმოო საკითხების ღრმად შესწავლის მიზნით შემოღებულია ახალგაზრდა ინჟინრების მიმაგრება გამოცდილ სპეციალისტებზე. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების სწრაფ ზრდას. კომკავშირელი ინჟინერი თინა დევდარიანი ინსტიტუტიდან პირდაპირ ქარხანაში მოვიდა სამუშაოდ. ამხ. დევდარიანი კარგად არ იცნობდა წარმოების პროცესებს. ამიტომ იგი პირველად ნორმადარის თანამდებობაზე დაინიშნა. ქარხნის ადმინისტრაციამ ახალგაზრდა ინჟინერს დასახმარებლად მიაბა მექანიკური საამქროს ხელმძღვანელები, სპეციალისტები. ისინი თვალყურს ადევნებდნენ დევდარიანის კვალიფიკაციის ზრდას. ნიჭიერი ინჟინერი სწრაფად დაეუფლა საამქროს მუშაობის რთულ პროცესებს. ახლა იგი საამქროში უფროს ტექნოლოგად მუშაობს. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში მომუშავე სპეციალისტ ქალებს ცოტა წვლილი როდი შეაქვთ სხვადასხვა მანქანების კონსტრუქციის შექმნასა და გაუმჯობესებაში. საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა ინჟინერმა თამარ ოსტაშვილმა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანა სამთო უნივერსალური მანქანის კონსტრუქციაში. ამ გაუმჯობესების შემდეგ მანქანას შეუძლია ისევე იმუშაოს მთაში, როგორც ვაკე ადგილებში. ინჟინერ-კონსტრუქტორთა ჯგუფმა თამარ ოსტაშვილის მონაწილეობით შექმნა სიმინდისა და სოიის ერთდროულად სათესი მანქანა, რომელსაც დიდი გამოყენება ექნება საკოლმეურნეო სოფელში. თამარ ოსტაშვილი ამჟამად მონაწილეობას იღებს ჩაის კულტივატორის ახალი კონსტრუქციის შექმნაში.

ინჟინერი ქეთევან მელია და აგრონომი ალექსანდრა ზიბარევა, ახალი ტიპის მანქანების შექმნაზე მუშაობენ და სწავლობენ ჩაის, ტუნგოს და ციტრუსოვანი კულტურების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს.

რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საწარმოების ხელმძღვანელებად და მთავარ ინჟინრებად ქალთა დაწინაურებას. მესამე სამშენებლო კანტორის უფროსად მუშაობს ინჟინერი ნინო ბალანჩივაძე. რაიონის საწარმოთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა საკონდიტრო ფაბრიკა, რომელსაც კომუნისტი თამარ სავინა ხელმძღვანელობს. ფაბრიკამ გასული წლის გეგმა 114,5 პროცენტით შეასრულა და საგრძნობლად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ამ წარმატების მოპოვებაში ცოტა წილი როდი უდევს ფაბრიკის მთავარ ინჟინერს კომუნისტ ნინო მაცაბერიძეს. იგი უნარიანად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მუშების აღზრდას, ტექმინიმუმის წრეებსა და სტახანოვური სკოლების მუშაობას, ახალგაზრდა მუშებს ეხმარება რთული საწარმოო კვალიფიკაციის დაუფლებაში. ამავე ფაბრიკაში ელენე ბაიხანაშვილი ლაბორატორიის გამგედ მუშაობს. იგი ბეჯითად შრომობს საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის ასამაღლებლად.

რაიონში 1.219 კომუნისტი ქალია. რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტ ქალთა შრომის ნაყოფიერად გამოყენებას. ქალები შესანიშნავად მუშაობენ სახალხო განათლების ფრონტზე. სახალხო განათლების ხუთი წარჩინებული მუშაკი დაწინაურებულია სკოლის დირექტორად. სკოლაში სანიმუშო წესრიგის დამყარებით, სასწავლო-საღმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებით და მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატებით თავი გამოიჩინეს ქალთა 25-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ელენე გეგიაძემ, ქალთა 23-ე საშუალო სკოლის დირექტორმა თამარ ხელაშვილმა. შესანიშნავად უძღვება თავის საქმეს ვაჟთა 22-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვარვარა ხანმანდარიანი.

სამედიცინო დარგის 186 მუშაკი ქალი ემსახურება რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მათ შორის თავისი მუშაობით აღსანიშნავია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნინო ჯავახიშვილი-კომახიძე, რომელმაც აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც გაითქვა სახელი. რაიონში 12 ქალი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. ექიმი უროლოგი მარიამ აფაქიძე ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად სერიოზულად მუშაობს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად.

პარტიის რაიკომი სისტემატურად ზრუნავს ქალთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მათი პოლიტიკური გამოწრთობისათვის. პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმულ კომუნისტთა და უპარტიოთა 50 პროცენტზე მეტი ქალია. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში 19 ქალია გაერთიანებული. ისინი ენერგიულად მუშაობენ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის. 55 ქალი წრეებსა და პოლიტსკოლებს ხელმძღვანელობს, 25 კონსულტანტია, 6 სემინარის ხელმძღვანელია, მრავალი ქალი ჩაბმულია ლექტორთა ჯგუფში და სხვ. პროპაგანდისტულ სამუშაოზე დაწინაურებული ბევრი ქალი შესანიშნავად უძღვება ამ საქმეს.

ქალთა იდეურ-პოლიტიკური ზრდის შედეგია ის, რომ რაიონში 44 პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალია. ბევრი მათგანი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის კარგ თვისებებს ამჟღავნებს. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თინა ქუნთელია აკადემიკოს მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანია, იგი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად სერიოზულად მუშაობს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად.

პარტიის რაიკომი სისტემატურად ზრუნავს ქალთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მათი პოლიტიკური გამოწრთობისათვის. პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმულ კომუნისტთა და უპარტიოთა 50 პროცენტზე მეტი ქალია. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში 19 ქალია გაერთიანებული. ისინი ენერგიულად მუშაობენ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის. 55 ქალი წრეებსა და პოლიტსკოლებს ხელმძღვანელობს, 25 კონსულტანტია, 6 სემინარის ხელმძღვანელია, მრავალი ქალი ჩაბმულია ლექტორთა ჯგუფში და სხვ. პროპაგანდისტულ სამუშაოზე დაწინაურებული ბევრი ქალი შესანიშნავად უძღვება ამ საქმეს.

ქალთა იდეურ-პოლიტიკური ზრდის შედეგია ის, რომ რაიონში 44 პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალია. ბევრი მათგანი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის კარგ თვისებებს ამჟღავნებს. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თინა ქუნთელია აკადემიკოს მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანია, იგი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად სერიოზულად მუშაობს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად.

პარტიის რაიკომი სისტემატურად ზრუნავს ქალთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მათი პოლიტიკური გამოწრთობისათვის. პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმულ კომუნისტთა და უპარტიოთა 50 პროცენტზე მეტი ქალია. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერს

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

აგიტატორთა სკოლა

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა, მოსკოვის ქარხანა „კაუჩუკის“ პარტიული ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით, მიიღო გადაწყვეტილება გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში აგიტატორთა სკოლის მოწყობის შესახებ. სკოლაში მეცადინეობა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იწარმოებს.

გორის საქალაქო გაზეთი „სტალინელი“ წერს:

„საქალაქო პარტკაბინეტმა უკვე შეიმუშავა მეცადინეობის თემატიკა. სკოლაში წაკითხულ იქნება ლექციები და მოხსენებანი საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის, ეკონომიკის საკითხებზე. აგიტატორები შეისწავლიან საგაიტაციო მუშაობის მეთოდებს, მოისმენენ მოხსენებებს საწარმოო საკითხებზე, წარმოების ნოვატორთა გამოცდილებაზე, შრომის ახალ მეთოდებზე. შერჩეული არიან ლექტორები და მომხსენებლები, განაწილებულია თემები, დაზუსტებულია სკოლის მსმენელთა სია. მეცადინეობა ამ დღეებში დაიწყება“.

სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის

ვანის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის მნათობს“ თავის მე-10 ნომერში დაბეჭდილი აქვს სოფელ შუამთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მიმართვა რაიონის სასოფლო საბჭოებისადმი საერთო სათაურით: „მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის!“

შუამთის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა სპეციალურად განიხილეს სესიაზე აღნიშნული საკითხი და გადაწყვიტეს მიმართონ რაიონის სასოფლო საბჭოებს — მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე სამეურნეო წელს საბჭოების წინაშე მდგომი ყველა ამოცანის წარმატებით შესასრულებლად.

„ჩაებნენ რა შეჯიბრებაში,—წერს „კოლმეურნის მნათობი“, — შუამთელებმა წელს სერიოზული ვალდებულებები აიღეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და ხაზოვადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომი გადიდების, მეაბრეშუმეობისა და მეხილეობის განვითარების, დამზადებათა გეგმების შეხრულების, ფულადი სახსრების ამოღებისა და კოლმეურნე გლეხობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის დარგში. მათ აიღეს უფრო კეთილმოწყობილი გახადონ თავიანთი სოფელი, გაუმჯობესონ მახობრივ-კულტურული მუშაობა, ამახთან სანიმუშო წესრიგში მოიყვანონ სასოფლო საბჭოს აღმასკომის საქმის წარმოება“.

შუამთის სასოფლო საბჭოს ეს ინიციატივა მისაბაძია.

სამტრედიელ პიონერთა კარგი თაოსნობა

საბჭოთა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა უდიდეს ინტერესს იჩენს დიდი რუსი ხალხის ენის შესწავლისადმი. სიყვარულს რუსული ენის შესწავლისადმი მათ უნერგავენ მასწავლებლები, რომლებსაც პედაგოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

როგორც სამტრედიის რაიონული გაზეთი „სოციალისტური შეტევა“ იუწყება, ამას წინათ რკინიგზის ქალაქა საშუალო სკოლის № 2 პიონერთა რაზმმა მოაწყო შეკრება თემაზე: „დიდი რუსი ხალხის დიადი ენა“.

შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის ლენინის ორდენოსან ეკ. ბახტაძის მოხსენება რუსული ენის შესწავლისა და მნიშვნელობის შესახებ.

საინტერესო იყო პიონერთა რაზმის საბჭოს თავმჯდომარის ს. ლეჟავას, პიონერების ზ. გაბუნიას, ნ. ახობაძის, ც. გაბუნიას, დ. ხაჟალიას და სხვების გამოსვლა შეკრებაზე. თავიანთ სიტყვებში ისინი შეეხნენ პუშკინის, ტოლსტოის, ტურგენევის, გოგოლის, გორკის და სხვა გამოჩენილი რუსი მწერლების შეხედულებას რუსულ ენაზე.

გრძელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „პუშკინი, როგორც თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ფუძემდებელი“. ი. ჩიხლაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ სწავლობენ მეორე რაზმის პიონერები რუსულ ენას. პიონერმა ლ. ანდრიაძემ წაიკითხა პუშკინის რამდენიმე ლექსი. შეკრებაზე პიონერებმა შეასრულეს რუსული სიმღერები და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

„შეკრების დღეს,—წერს გაზეთი,—სკოლის დარბაზი დამშვენებული იყო პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, გორკის და სხვა დიდი რუსი მწერლების პორტრეტებით. აქვე იყო ხტენდი მოსწავლეთა საკალამო ნამუშევრებით და რუსული ენის შესწავლისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი“.

საინკუბატორო სადგური პირველობისათვის იბრძვის

საგარეჯო. (საკ. კორ.). სარაიონთაშორისო საინკუბატორო სადგურის კოლექტივმა (დირექტორი თ. ქვლივიძე) მაღალნაყოფიერი შრომით გასულ წელს რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა. შრომის სწორი ორგანიზაციით და მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებით 1951 წლის საგეგმო დავალება 124 პროცენტით გაანაღდეს და სახელმწიფოს 23.000 მანეთი მოგება მისცეს. საინკუბატორო სადგურის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ პირველობა წელსაც შეინარჩუნოს.

წელს სადგურში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს: შეაკეთეს საინკუბაციო საამქრო, ელექტროსადგური, საწიწილე, კვერცხის დასახარისხებელი და ოპერატორთა სამორიგეო ოთახები, ელექტროსადგურის მოტორისტებისათვის მოაწყეს სპეციალური სახელოსნო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს აგრეთვე ინკუბატორის წყლით მომარაგება. საინკუბატორო სადგურის მუშაკებმა მათი სამოქმედო ზონის კოლმეურნეობებთან უკვე გაფორმეს კოლექტიური ხელშეკრულებები, რის მიხედვითაც წელს კოლმეურნეებს 72.000 ფრთა წიწილი უნდა გამოუყვანონ.

ამ დღეებში საინკუბატორო სადგურში მოეწყო ხუთდღიანი სემინარი. საგარეჯოს, გურჯაანისა და კაჭრეთის რაიონების კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმების გამგეებთან გამართეს საინტერესო საუბრები კვერცხის შენახვა-აღრიცხვის ტექნიკაზე, ფრინველის მოვლა-პატრონობაზე და ზოოვეტპროფილაქტიკაზე.

ჩვენ გვწერენ

ვინ არის დამნაშავე?

ტექნიკუმში კვირაში ორჯერ ხაზვის გაკვეთილი გვაქვს. გაკვეთილების წინ მოსწავლეებში გავგონებთ ასეთ წამოძახილებს: „მიაგენი?“, „იპოვნე?“. ნუ იფიქრებთ, რომ ისინი ეძებდნენ ახალ ხერხებსა და მეთოდებს ტექნიკაში. არა, მათ აინტერესებთ ისეთი იაფფასიანი და სრულიად უბრალო რამ, როგორიც არის შავი ტუში. ზოგისათვის შეიძლება არაფერი იყოს ამ წვრილმანზე ლაპარაკი, მაგრამ ტუშის შოვნა საქწიგნის მაღაზიებში, მუშაობის ცუდი ორგანიზაციის გამო, რატომლაც ძალიან გაძნელდა.

როდესაც ხაზვის მასწავლებელი დავალების შესრულებას ამოწმებს, მოსწავლე ხშირად ეუბნება: „ტუში ვერ ვიშოვე, მასწავლებელო“, და მისი გვარის გასწვრივ ჟურნალში იწერება ნიშანი „2“.

მართლაც, ვინ არის დამნაშავე, მოსწავლე ახალგაზრდობა თუ წიგნის მაღაზიები?

ბ. ბერაძეილი

თბილისის ნავთობის ტექნიკუმის I კურსის მოსწავლე

მგზავრებს ფულად ემსახურებიან

რკინიგზის ინგირის სადგურის შენობა უწესრიგო მდგომარეობაშია. ფანჯრებში ჩამტვრეულია მინები, მოსაცდელ დარბაზში არ არის სკამები და არც თბება. მოლარე მატარებლის ბილეთების გაყიდვას მაშინ იწყებს, როდესაც მატარებელი სადგურში შემოვა, რაც მგზავრთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

კარგა ხანია დაიწყეს სადგურის ახალი შენობის მშენებლობა, რაც დაუსრულებლად ჭიანურდება, ძველი შენობის შეკეთებაზე კი არავინ ზრუნავს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ საჭირო ზომები უნდა მიიღოს სადგურ ინგირში წესრიგის დასამყარებლად.

მ. აჭუბარდია



ავჭალის შუშის ქარხანა. რამდენიმე ხნის წინათ საწარმოში დაამონტაჟეს გაიშვიათებულ ჰაერზე მომუშავე ათმხრივანი ბოთლის დამყალიბებელი მანქანა, რომელიც ავტომატურად მუშაობს და საათში 1.500 ბოთლს უშვებს. სურათზე: უფროსი მემანქანე-ოპერატორი, კომკავშირელი ა. ჯაბაშვილი აწესრიგებს ბოთლის დამყალიბებელი მანქანის მუშაობას.

ფოტო ვ. გინზბურგისა

გორელ მშენებლებთან შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ

ტრესტ „თბილისმშენის“ მეორე სამშენებლო ქარხნის კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა გორელ მშენებელთა მოწოდებას 1952 წლის სამშენებლო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის განხორციელებულ იქნა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. ქარხნის კოლექტივმა, რომელიც გასულ წელთან შედარებით წელს ყოველდღიურად 35 პროცენტით მეტ პროდუქციას უშვებს, იანვრის დავალება გადაჭარბებით შასრულა. გადაჭარბებით შესრულდა თებერვლის პირველი დეკადის საწარმოო გეგმაც. კარფანჯრის დამზადების იანვრის დავალება 195 პროცენტით იქნა განაღდებული, მოზაიკის საფეხურების გამოშვების გეგმა კი 47 პროცენტით.

ქარხანაში არ არის ისეთი მუშა, რომელიც ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით არ ასრულებდეს. დურგალმა ვ. აბულაძემ იანვრის დავალება 200 პროცენტით შეასრულა და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. ქარხნის კოლექტივმა წელს აამუშავა 6 ახალი ქვისდამამუშავებელი დაზგა. ამის შედეგად თვითეულ ოპერაციაზე შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გადიდდა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში თავი ისახელეს ქარხნის სტახანოველებმა — ქვისმთლელმა ს. კოკოევმა, მძერწავმა ა. დავითაშვილმა და სხვებმა. ისინი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 200-300 პროცენტით ასრულებენ და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ბორჯომის კეთილმოწყობა

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო ქობულეთის საქალაქო საბჭოსთან, მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია ქალაქის კეთილმოწყობისათვის. კაპიტალურად შეკეთდა ქიროვის, ჭავჭავაძისა და ლუსემბურგის ქუჩები. რეკონსტრუირებულ იქნა წულუკიძის ქუჩა. კიროვის ქუჩაზე დაიდგა ელექტროლამპიონები. გაფართოვდა და ტროტუარები გაუკეთდა ლიკანის სანატორიუმის მისასვლელ გზას.

შუშის ქარხნის უბანში ნიაღვარსაშვები გაკეთდა. ქალაქის ოთხ თვალსაჩინო ადგილას დაიდგა ელექტროსაათები. ბორჯომის კურორტთა სამმართველომ დიდი სამუშაოები შეასრულა აგრეთვე ქუჩების, გაზონების, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობისათვის.

საკოლმეურნეო ბაზრიდან მტკვრის ხიდამდე არსებული ცენტრალური ქუჩა სეიფროვის გამო აძნელებდა მანქანებისა და მგზავრების მისვლა-მოსვლას. შარშან საქალაქო საბჭომ დაიწყო მტკვრის მარცხენა მხარეზე საყრდენი კედლის ამოყვანა, რაც 5,5 მეტრით აფართოებს ცენტრალურ ქუჩას. საყრდენი კედლის სამუშაოები, რომელიც ჯერ კიდევ 48 მეტრის სიგრძეზეა გასაკეთებელი, მიმდინარე წლის ზაფხულში დამთავრდება. დაიგება ასფალტი და მოეწყობა გამწვანება.

წელს ქალაქ-კურორტის კეთილმოწყობაზე გაცილებით მეტი თანხები დაიხარჯება, ვიდრე შარშან. ახალშენის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლების ფასადები ლამაზად გაფორმდება, რაისაბჭოს აღმასკომის შენობის წინ აიგება ღვარსაშვები კოლექტორი, ლიკანის სანატორიუმისაკენ მისასვლელ გზაზე დაიდგმება ელექტროლამპიონები, მოასფალტდება ქუჩების ტროტუარები. ქუჩებისა და გზის სანაპიროებზე დაირგვება დეკორაციული მცენარეები. სერიოზული სამუშაოები აქვს გათვალისწინებული კეთილმოწყობისათვის ბორჯომის კურორტთა სამმართველოს.

კოოპინკავშირის ხელმძღვანელობა თავს იქებს

როგორც მკითხველებმა იციან, ჩვენი გაზეთის გასული წლის 22 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი სათაურით „მკაცრად დავსაჯოთ კომბინატორები და მათი ხელისშემწყობნი“. წერილში მხილებული იყო მთელი რიგი უმსგავსოებანი საქართველოს კოოპინკავშირის სისტემაში.

კოოპინკავშირის ხელმძღვანელობა, რომელიც თავისი მუშაობის კრიტიკას თაკილობს, თუმცა, ფაქტების წინაშე იძულებულია ქედი მოიხაროს და დასაჯოს თითო-ოროლა მხილებული კომბინატორი, — რედაქციას ბევრ რამეში ედავება. პასუხში, რომელიც დიდი დაგვიანებით მიიღო რედაქციამ და რომელსაც მხოლოდ საერთო განყოფილების გამგე აწერს ხელს (ალბათ ხელმძღვანელი მუშაკები თავს იზღვევენ ფორმალური პასუხისმგებლობისაგან), კოოპინკავშირის ხელმძღვანელობის ქება მეტია, ვიდრე მისი სუსტი მუშაობის ბოლშევიკურად აღიარება.

რით მოაქვს თავი კოოპინკავშირის ხელმძღვანელობას?—განსაკუთრებული დამსახურებით მფლანგველობასთან ბრძოლაში. სიტყვასიტყვით მოგვყავს ამონაწერი პასუხიდან: „1951 წლის 9 თვეში გამოვლინებულია (გამოუვლინებელი რამდენია? **რედ.**) სულ 456.000 მანეთის დანაკლისი და გაფლანგვა-მტაცებლობა, აქედან 50 ათასი მანეთი წვრილი დანაკლისები, ხოლო 406.000 მანეთი გაფლანგვა-დანაკლისი. აღნიშნული ციფრები ცხადყოფენ, რომ არამც თუ ადგილი აქვს სისტემაში გაფლანგვა-დანაკლისების ზრდას, არამედ ის ძალზე შემცირებულია“ (??).

რა ფასი უნდა დავდოთ კოოპინკავშირის ხელმძღვანელობის მუშაობას, როდესაც მარტო გასული წლის ცხრა თვეში თითქმის ნახევარი მილიონი მანეთის გაფლანგვა საამაყო მაჩვენებლად მიაჩნია?

ალბათ, როდესაც ეს პასუხი იწერებოდა, კიდევ არ იყო გამოვლინებული დიდი თანხის გაფლანგვა არტელ „ინწარმოებაში“, რომლის ხელმძღვანელებმა რევიზორებს თავის დასაძრეწად 60.000 მანეთი ქრთამად შეაძლიეს, მაგრამ მახეში გაებნენ.

თავის ქების და თვითრეკლამის ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი ადგილი კოოპინკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებიდან:

„პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ პრეზიდიუმი (?) და მისი თავმჯდომარე ამხ. ქველაძე არა თუ მფარველობს გამფლანგვა-მტაცებლებს — კომბინატორებს (სტილი დაცულია. **რედ.**), არამედ სასტიკად ებრძვის მას და მოითხოვს ყველა არტელის წევრიდან სეტაკ და კეთილსინდისიერ მუშაობას“.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

განა ათი ათასი მანეთი პრეზიდიუმის და მისი თავმჯდომარის ამხ. ქველაძის სანქციით არ იქნა გადახდილი „ექსპერტიზაზე“ (?) კოოპინკავშირის სისტემაში შემძვრალ კომბინატორ გრიგოლ ბაღდასაროვის პასუხისგებაში მიცემისაგან დასახსნელად?

ვინ უნდა ზღოს ეს თანხა ახლა, როდესაც, მიუხედავად კოოპინკავშირის ხელმძღვანელობის ცდისა სასამართლომ 3 წლის პატიმრობა მიუსაჯა კომბინატორ ბაღდასაროვს?

თვითკრიტიკის მაგიერ თვითრეკლამა! — აი, როგორ გამოიყურება კოოპინკავშირის ხელმძღვანელობა თავისი პასუხით რედაქციისადმი.

საინკუბატორო სადგური პირველობისათვის იბრძვის

საგარეჯო. (საკ. კორ.). სარაიონთაშორისო საინკუბატორო სადგურის კოლექტივმა (დირექტორი თ. ქვლივიძე) მაღალნაყოფიერი შრომით გასულ წელს რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა. შრომის სწორი ორგანიზაციით და მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებით 1951 წლის საგეგმო დავალება 124 პროცენტით გაანაღდეს და სახელმწიფოს 23.000 მანეთი მოგება მისცეს. საინკუბატორო სადგურის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ პირველობა წელსაც შეინარჩუნოს.

წელს სადგურში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს: შეაკეთეს საინკუბაციო საამქრო, ელექტროსადგური, საწიწილე, კვერცხის დასახარისხებელი და ოპერატორთა სამორიგეო ოთახები, ელექტროსადგურის მოტორისტებისათვის მოაწყეს სპეციალური სახელოსნო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს აგრეთვე ინკუბატორის წყლით მომარაგება. საინკუბატორო სადგურის მუშაკებმა მათი სამოქმედო ზონის კოლმეურნეობებთან უკვე გაფორმეს კოლექტიური ხელშეკრულებები, რის მიხედვითაც წელს კოლმეურნეებს 72.000 ფრთა წიწილი უნდა გამოუყვანონ.

ამ დღეებში საინკუბატორო სადგურში მოეწყო ხუთდღიანი სემინარი. საგარეჯოს, გურჯაანისა და კაჭრეთის რაიონების კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმების გამგეებთან გამართეს საინტერესო საუბრები კვერცხის შენახვა-აღრიცხვის ტექნიკაზე, ფრინველის მოვლა-პატრონობაზე და ზოოვეტპროფილაქტიკაზე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობები

ქართული საბჭოთა პროზის განვითარებაში მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ თვალსაჩინო როლი შეასრულა. კ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც გაბედულად მოჰკიდა ხელი საკოლმეურნეო ცხოვრების ასახვას. მან ამ თემაზე შექმნა მრავალი შესანიშნავი მოთხრობა და ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოები, როგორიც არის მისი ცნობილი რომანი „კოლხიდის ცისკარი“.

კ. ლორთქიფანიძე სამართლიანად ითვლება თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთ შესანიშნავ ოსტატად. ამისი ნათელი ილუსტრაციაა მისი მოთხრობების კრებული, რომელიც ახლახან გამოსცა სახელგამმა. ეს კრებული საყურადღებოა იმით, რომ აქ თავმოყრილია თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე დაწერილი რჩეული მოთხრობები, რაც ერთგვარ წარმოდგენას იძლევა მწერლის შემოქმედებით გზაზე.

კრებულში სხვა მოთხრობებს შორის ყურადღებას იპყრობს ბელორუსული მოთხრობების ციკლი „უკვდავება“, რომელმაც თავის დროზე ქართულ პრესაში კარგი შეფასება მიიღო. ამ მოთხრობებში მწერალმა შეძლო მხატვრული სისრულით გადმოეცა ბელორუსი ხალხის წარსული, მისი შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მისი ნებისყოფის სიმტკიცე. „უკვდავება“ ამავე დროს გვხიბლავს ფორმის მხრივაც. იგი ორიგინალურად შესრულებული ნაწარმოებია, რომელშიც კომპოზიციურად გაერთიანებულია ოთხი პატარა მოთხრობა. პირველ მოთხრობაში — „ფუნდუკში“ — ასახულია ბელორუსიის ერთ-ერთი სოფლის ცხოვრება. ავტორი იძლევა ბელორუსიის რევოლუციამდელი სოფლის კოლორიტს, გადმოგვცემს მეყურეებული სოფლის სპეციფიკას, აღძრავს ქარიშხლიანი მომავლის იდუმალ გრძნობას. ასეთი სურათი მწერალს ესაჭიროება მომდევნო მოთხრობათა განვითარებისათვის. მიუხედავად ასეთი დანიშნულებისა, მოთხრობას შენარჩუნებული აქვს დამოუკიდებელი მხატვრული სახე. მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირის ბაბუა რუხლოს სახით მწერალი გვიხატავს ჭირში გაუტეხელ მამაც ბელორუს ხალხს.

ნაწარმოები მკაფიოდ გვაგრძნობინებს, რომ საცაა უნდა დაირღვეს ბაბუა რუხლოს უუფლებო ცხოვრება, მძაფრმა ქარიშხალმა უნდა აამოძრაოს ჭაობივით შეჩერებული ცხოვრება.

ამავე ციკლის მოთხრობაში „ცხენი“ ნაჩვენებია წვრილმესაკუთრე გლეხის დამოკიდებულება პირველი იმპერიალისტური ომისადმი, რომელიც თავისი მტაცებლური ხასიათის გამო ვერ აღძრავდა ხალხში პატრიოტიზმს. ომი წარმოებდა არა სამშობლოს დასაცავად, არამედ მმართველი წრეების ინტერესებისათვის. ამიტომ არის, რომ ფრონტზე თუ ლაზარეთში მყოფი ჯარისკაცი ხვნა-თესვაზე, მშობლიურ სოფელში დაბრუნებაზე ოცნებობს. მწერალი სწორად ხსნის მასობრივი დეზერტირობის მიზეზებს. მოთხრობის გმირის მიხასის დეზერტირობა ტიპიურია: „უპატრონო ყანების სუნმა“, ოჯახზე დარდმა, შრომის სურვილმა მიატოვებინა მიხასს ლაზარეთი. აქედან იწყება მიხასის სულიერი ცხოვრების გახსნა. გაქცეული მიხასი არ ზოგავდა ლაზარეთის ბეჩრეკ ცხენს — „სანიტარს“, რადგან თავდაცვის ინსტინქტი ამას უკარნახებდა, მაგრამ როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულა, მასში მაშინვე ალაპარაკდა გლეხის ინსტინქტი: „სოფლამდე შორს იყო კიდევ და მიხასს გულს უწუხებდა გამიზეზებული ჭრილობა, ცხენზე მაინც არ ჯდებოდა, რადგან დღეიდან ცხენი მისი იყო“.

ამ მოთხრობის იდეა უფრო ხორცშესხმულად ვითარდება მოთხრობაში „ისევ ცხენი“.

მოთხრობა „უკვდავებაში“ მწერალი გვაძლევს ბელორუსი ხალხის პარტიზანული ომის სურათებს. ხალხი იბრძვის კანონიერი უფლებისათვის. ბაბუა რუხლოს ცხოვრება უმიზნოა, რადგან იგი მოხუცია და ბრძოლისათვის აღარ გამოდგება. მაგრამ მასაც უჩნდება მიზანი. მას დაავალეს იარაღის შესყიდვა. აქ უკვე გარდატეხა ხდება ბაბუა რუხლოს პიროვნებაში. თუ იგი დღემდე საკუთარი კეთილდღეობისათვის ფიქრობდა, ამიერიდან ის სახალხო გმირად იქცა. მან დასძლია სიცოცხლის ინსტინქტი, როდესაც საერთო საქმისათვის მისი სიკვდილი იყო საჭირო.

„ბელორუსული მოთხრობებით“ კ. ლორთქიფანიძემ ქართველ მკითხველს გადაუშალა მოძმე ბელორუსი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის საინტერესო ეპიზოდები.

მოთხრობები „მაისის დილა“ და „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“ აგებულია სამამულო ომის თემაზე. ამ მოთხრობებში წინა პლანზე წამოწეულია საბჭოთა პატრიოტიზმის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი მხარე — ბრძოლის ჰეროიკა. მოთხრობები მხატვრულად საუკეთესოდ არის დამუშავებული. კარგად შერჩეული თემატიკა, სხარტად განვითარებული კომპოზიცია და ცოცხალი მხატვრული სახეები მოთხრობის მაღალ ღირსებაზე მეტყველებენ.

ორიგინალური კომპოზიციით, ხასიათთა ღრმა რეალისტური გახსნით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კრებულში მოთავსებული მოთხრობა „მოგზაური“. მოთხრობაში მოცემულია მეტად აქტუალური იდეა — როგორ იქმნება ჭეშმარიტი, უკვდავი მხატვრული ნაწარმოები. ნაწარმოები ისე ოსტატურად ვითარდება, რომ მკითხველმა ფინალამდე არ იცის გმირის ვინაობა. გმირის ფიზიკური სახის და სულიერი სამყაროს გადმოცემასთან ერთად მწერალი გზადაგზა გვიხატავს რუსეთის ცარიზმისდროინდელი საზოგადოებრივი ყოფის სურათებს.

საინტერესოდ ხატავს მწერალი მოგზაურის სახეს: მოგზაური, რომლის ჩამოხეულ ტანსაცმელს მრავალი სატვირთო ვაგონის და ნახშირის ბაქნის კვალი აჩნდა, „ნამეხარ მუხას ჰგავდა“. „ქვასანაყივით მაგარი ნიკაპი“ მოგზაურის სიმკაცრისა და მტკიცე ხასიათის შესახებ მეტყველებდნენ, ხოლო „...მისი ცისფერი, ალალი თვალები ამ სიმკაცრეს წამსვე ანელებდნენ. კეთილად შესცქეროდა ქვეყანას ეს მოხეტიალე რუსი, თითქოს ამბობდა: — მიპატიებია, რაც ტანჯვა მარგუნეო“. ვინ არის მოგზაური, როგორი მსოფლმხედველობის, მისწრაფებების მქონე ადამიანია იგი?

ამ კითხვას ავტორი პასუხს აძლევს მეფისდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი თვისების მხატვრული ანალიზით: ქვეყანა სავსეა „არაკაცებით“. ისინი პირუტყვულ მდგომარეობაში არიან, რადგან „ბევრს თავი მაღლა ვერ აუწევია, ხანდახან ცას შეხედოს და პირუტყვისაგან ცოტა მაინც განსხვავდეს. ეშინია, მეორემ, მისმა მსგავსმა, ცხვირი ბაგაში არ ჩაუკრას“. ასეთ ფონზე ნათლად ჩანს მოგზაურის მისწრაფებანი. იგი ეძებს ადამიანებს და ადამიანურ ცხოვრებას. მოგზაურის ეს თვისება იმდროინდელი ცხოვრების უარმყოფელ ადამიანთა ტიპიური თვისებაა. ამ თვისებით მოგზაურის კონკრეტული სახეც ტიპიურდება.

გორში მთავრობამ „აყაღებს“ (უსამართლობისაგან დევნილ გლეხებს) ჩამოხრჩობა მიუსაჯა. ამ ტრაგედიის საყურებლად მოსულ ხალხში სემინარიის მოწაფეებიც არიან. მოგზაური ურჩევს სემინარიის მასწავლებელს წაიყვანოს მოსწავლეები. მასწავლებლისა და მოგზაურის შელაპარაკება უფრო მკაფიოდ აჩენს მოგზაურის სულიერ თვისებებს. აქ მოგზაური ჩნდება როგორც დიდი ჰუმანისტი.

„აყაღების“ დასკვის სცენა შესანიშნავი ოსტატობით არის აღწერილი. მწერალი დამაჯერებლად ხატავს ხალხის განწყობილებას, რომელიც სიძულვილით უყურებს ძალადობას. მოგზაურმა ამ სანახაობას მოაშორა ბიჭუნა და რომ შეხედა — „მოგზაური შეაკრთო შეგირდის თვალებმა: იმ თვალებში ბავშვობა თავდებოდა“.

შეუპოვარი ვაჟკაცი ხუბულური, რომელმაც საკოლის შეურაცხყოფის გამო მოკლა თავადი და ტყეში გაიჭრა, დაცინვით შეხვდა სიკვდილს. „როცა ჯალათი ტომრის ჩამოსაცმელად მიუახლოვდა, ხუბულურმა ულვაშებში ისე ჩუმად ჩაიცინა, თითქოს მთელი ქვეყნის რაღაც სამარცხვინო საიდუმლოება იცოდა“. მოგზაურმა ნახა სიყვარულისათვის დასჯილი ვაჟკაცის გამარჯვება სიკვდილზე და ამის გამო დაწერა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების ჰიმნი.

მოთხრობის შესანიშნავი ფინალი უეცრად ხსნის როგორც მოგზაურის, ისე პატარა სემინარიელის სახეს:

„რას იფიქრებდა მაშინ რუსი მოგზაური, რომ ეს ქოჩორა ბიჭი, ორმოცი გრძელი წელიწადი რომ გაივლიდა, ასე წაწერდა გორში შთაგონებულ პოემას: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ („სიკვდილს ამარცხებს სიყვარული“) ი. სტალინი“.

კ. ლორთქიფანიძემ ძლიერად დახატა პროლეტარული მწერლობის ფუძემდებლისა და თეორეტიკოსის მ. გორკის სახე, — სახე სიმართლის მაძიებელი, წრფელი, მაღალი იდეების მქონე ადამიანისა, რომელიც დაუღალავად იბრძოდა ცხოვრების მახინჯი მხარეების წინააღმდეგ.

სამართლიანია მ. გორკის ზოგიერთი სულიერი თვისების განზოგადება, რაღაგან ის ტიპები, რომლებიც თვით მაქსიმ გორკიმ უკვდავყო თავის შემოქმედებაში, ასეთივე თვისებებით იყვნენ დაჯილდოებულნი. განა ცხოვრების უკუღმართობა არ ატარებდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე კონოვალოვს, განა ახლის ძიების სურვილმა არ გამოიწვია თომა გორდეევის ტრაგედია?

კ. ლორთქიფანიძე სწორად მიუთითებს იმ წყაროზე, რომლითაც სარგებლობდა დიდი რუსი მწერალი. ეს წყაროა ცხოვრება, ეს წყაროა რეალური ადამიანი თავისი მდიდარი სულიერი სამყაროთი.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „მოგზაური“ საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობათა ახალი კრებული ქართული პროზის შემდგომი აღმავლობის ნათელი დადასტურებაა.

იაგო ვარდოსანიძე

საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მომწვევი საერთაშორისო საინიციატივო კომიტეტის მოსამზადებელი კომისიის ცნობა

კოპენჰაგენი, 15 თებერვალი. (საკუთ.). დანიის საქმიანი წრეების ორგანომ—გაზეთმა „ბერლინგმა“ დღეს გამოაქვეყნა საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მომწვევი საერთაშორისო საინიციატივო კომიტეტის მოსამზადებელი კომისიის ცნობა. ცნობაში ნათქვამია:

„1952 წლის 10-12 თებერვალს ქალაქ კოპენჰაგენში გაიმართა ქალაქ მოსკოვში 1952 წლის 3-10 აპრილს საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მომწვევი საერთაშორისო საინიციატივო კომიტეტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა.

კომისიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ თათბირის მოწვევის ინიციატივამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბევრი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო წრეებში, პროფკავშირულ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეთა და ორგანიზაციათა შორის.

საერთაშორისო საინიციატივო კომიტეტი, რომელიც კოპენჰაგენში შეიქმნა 1951 წლის 27-28 ოქტომბერს, ერთადერთი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მომზადებისათვის.

თათბარს მწვევენ არა მთავრობის ორგანოები. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ მრეწველები, ვაჭრები, მიწათმოქმედები, ეკონომისტები, ინჟინრები, პროფკავშირთა და კოოპერაციის მოღვაწეები.

საინიციატივო კომიტეტს კოპენჰაგენში ჰქონდა სხდომები 1951 წლის 27-28 ოქტომბერს. მოსამზადებელი კომისია იხსენებს აღნიშნული კომიტეტის განცხადებას იმის შესახებ, რომ თათბირი ეკონომიურია და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს თანამშრომლობის განვითარებას ქვეყნებს შორის, მიუხედავად მათი ეკონომიური სისტემების განსხვავებისა, ქვეყნებს შორის საგაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებისა და ამ საფუძველზე ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობის გამოვლინების გზით. თათბირის დღის წესრიგი ასეთია:

„ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობათა გამონახვა სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა სისტემის მშვიდობიანი თანამშრომლის საშუალებით. ყველა ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გზით“.

თათბირი განიხილავს თანამედროვე მდგომარეობას საერთაშორისო ვაჭრობის დარგში და ხელს შეუწყობს ამ დარგში არსებული სიძნელეთა გადალახვას, იმ გზებისა და საშუალებათა გამოკვლევას, რომლებიც გამოიწვევენ საერთაშორისო საგაჭრო ურთიერთობის გაფართოებას და ამ ეკონომიურ სიძნელეთა შემცირებას, რომლებსაც უკანასკნელ დროს ბევრი ქვეყანა განიცდის.

თათბირი განიხილავს, თუ როგორ შეუწყობს ხელს ქვეყნებს შორის ნორმალური საგაჭრო ურთიერთობის განვითარება და საგარეო ვაჭრობის მოცულობის გადიდება ეროვნული წარმოების გაფართოებაში, მოსახლეობისათვის საუშაოს შოვნის გაძლიერებას და ცხოვრების სიძვირის შემცირებას.

კერძოდ, თათბირი განიხილავს აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის, ეკონომიურად განვითარებულ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობას, აგრეთვე ყოველგვარ წინადადებას, რომლებსაც შემოიტანენ თათბირის მონაწილეები დღის წესრიგის შესაბამისად.

კომისიამ მხედველობაში მიიღო ცალკე ქვეყნების ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტების წარმომადგენელთაგან შემოსული შენიშვნები იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილი არ არის თათბირზე წარმოდგენილ იქნას სპეციალური მოხსენებანი ქვეყნების ჯგუფისაგან, როგორც წინათ იყო ნავარაუდევი. უფრო მიზანშეწონილი იქნება განხილულ იქნას თათბირის დღის წესრიგში მდგომი საკითხი არა ქვეყნების ჯგუფის ერთი თუ რამდენიმე მოხსენების საფუძველზე, არამედ თათბირის მონაწილეთაგან ყველა მსურველის გამოსვლის საფუძველზე.

თათბირი შექმნის აზრთა ფართო და თავისუფალი გაზიარების შესაძლებლობას და არ გამოიტანს არაკეთილ ისეთ დადგენილებას, რაც გაღლებულებებს დაიჭირებს მის მონაწილეებს, არამედ დაამყოფილდება რეკომენდაციების მიღებით.

მოსამზადებელი კომისია ყველა დაინტერესებულ წრეს მოუწოდებს მონაწილეობა მიიღონ თათბირში. თათბირზე მოწვეულ იქნებიან მრეწველთა, კომერსანტთა და მიწათმოქმედთა, საგაჭრო პალატების, სამრეწველო ასოციაციების, ფინანსისტების, აგრეთვე კოოპერაციულ გაერთიანებათა წარმომადგენლები.

მოწვეულ იქნებიან აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური ორგანოები.

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული კავშირების წარმომადგენლები, მიუხედავად მათი მიმართულებისა, აგრეთვე მეცნიერები, ეკონომისტები, მეცნიერული დარგისა და საზოგადო მოღვაწეები. ამრიგად, თათბირზე ადგილი უზრუნველყოფილია ყველა პირისათვის, ვისაც მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენისა, სურს ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის საგაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

კომისია მოაგონებს საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტის განცხადებას, რომ თათბირის მონაწილეებს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ყოფნისას გაუწევენ საჭირო დახმარებას და სტუმართმოყვარეობას და რომ მათ, თუ სურვილი ექნათ, შესაძლებლობა მიეცემათ დაამყარონ კონტაქტი საბჭოთა საგაჭრო, სამრეწველო და კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

იმ პირებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში, შეუძლიათ მიმართონ ეროვნულ მოსამზადებელ კომიტეტებს, აგრეთვე მოსამზადებელ კომისიის შემდეგი მისამართით: ოტელი „პოლიუ“, კოპენჰაგენი, სპრინგფორ